პრაგმატიზმი - პოლიტიკური ტრანზიციის პარადიგმა

გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

ნოდარ აბესაძე
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.01

რეზიუმე

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის უმნიშვნელოვანეს პირობას პრაგმატიზმი წარმოადგენს; იგი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორია. პრაგმატიზმი რაციონალიზმს ემყარება და სივრცითა და დროით განისაზღვრება; მისი უპირველესი ამოცანაა, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, მაქსიმალური სარგებლის მიღება. ქართული პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში პოლიტიკურ აქტორთა მოღვაწეობითი სტილი ყოველთვის ეროვნულ პრაგმატიზმზე არ არის აგებული. განსაკუთრებით თავისი დესტრუქციულობითა და ავანტიურიზმით გამოირჩევა პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი. პრაგმატიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ენასა და რიტორიკას; პროვოკაციული რიტორიკა ქართული პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული ნაწილის სტილია. შეიმჩნევა პირად და კლანურ სარგებლიანობაზე აგებული პოლიტიკის გატარება. აქტორულ სივრცეში თავისი ეროვნული პრაგმატული მიდგომებით მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანზიციების პირობებში ქართული პოლიტიკური ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობა და სტაბილურობა; პრაგმატული პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ცვლილება ახალ პრაგმატულ მიდგომებს მოითხოვს, რომელიც პოლიტიკური აქტორების რაციონალურ აზროვნებაზე იქნება დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ტრანზიცია, პოლიტიკური პრაგმატიზმი, გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები, პოლიტიკური აქტორები, პოლარიზაცია, ევროკავშირი.

ციტირებისთვის: აბესაძე გ., აბესაძე ნ. (2023), პრაგმატიზმი - პოლიტიკური ტრანზიციის პარადიგმა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 16 (3), 7-12. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

PRAGMATISM - A PARADIGM OF POLITICAL TRANSITION

Guram Abesadze
Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State University, Head of Policy Science
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

Nodar Abesadze
Doctor of Social Sciences, guest lecturer of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

SUMMARY

Pragmatism is the most important condition of modern Georgian political transition; It is a factor determining the value priority of state construction. Pragmatism is based on rationalism and is determined by space and time; His primary task is to get the maximum benefit from the real situation. In the process of Georgian political transition, the working style of political actors is not always based on national pragmatism. The part of the political opposition is especially distinguished by its destructiveness and adventurism. Pragmatism attaches great importance to political language and rhetoric; Provocative rhetoric is the style of a certain part of the Georgian political opposition. It is observed that the policy is based on personal and clan benefits. In the acting space, the Orthodox Church stands out with its national pragmatic approaches. In the conditions of the current geopolitical transitions in the modern world, the Georgian political authorities are trying to maintain peace and stability; Accepting the status of a candidate for EU membership should be considered an important achievement of pragmatic policy. The change of the modern world order requires new pragmatic approaches, which will depend on the rational thinking of political actors.

Key words: Political transition, Political pragmatism, geopolitical transformations, political actors, polarization, European Union.

For citation: Abesadze G., Abesadze N. (2023), Pragmatism - A Paradigm for Political Transition, Journal of Business and Legislation, 16 (3), 7-12. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk

შესავალი

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის აქტუალურ პრობლემას პოლიტიკური პრაგმატიზმი წარმოადგენს. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უაღრესად რაციონალურ და ანალიტიკურად გააზრებულ მოქმედებებს მოითხოვს; ამასთანავე, პრინციპულად უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. პრაგმატიზმი ყოველთვის იყო საჭირო პოლიტიკაში, მაგრამ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში მისი აქტუალობა რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა:

1. გლობალური გეოპოლიტიკური ტრანზიცია პოლიტიკურ ორიენტაციათა რადიკალურ ცვლილებებს იწვევს. იცვლება ძალთა ბალანსი მსოფლიოში, რაც ახალ პრაგმატულ მიდგომებს საჭიროებს;
2. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება ახალ ღირებულებით ორიენტაციებზე გადასვლას გულისხმობს, რაც ფრთხილ და გაწონასწორებულ მიდგომებს საჭიროებს;
3. თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ტრანზიციის პროცესი გარკვეული ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევა, რომელიც პოლიტიკური ელიტისაგან მეტ პრაგმატულ მიდგომებს საჭიროებს;
4. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის აქტორების ინტელექტუალური პოტენციალი გარკვეულწილად ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, რომელიც რადიკალურად არის შესაცვლელი;
5. გარდაქმნას საჭიროებს ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი, რომელიც პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიციისა და რაციონალურობის საფუძველია. ამ მიმართულებების აქტუალობიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკის პრაგმატულობა პრინციპული მოთხოვნა გახდა. პოლიტიკური სიტუაციის რეალისტური შემეცნება და შეფასება რაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველია.

ძირითადი ტექსტი

პოლიტიკური ტრანზიციის პროცესისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელია პრაგმატიზმი, რომელიც სარგებლიანობის პრინციპებს ემყარება. პრაგმატიზმი /ბერძ. pragma - საქმე, მოქმედება/ თავისი კონცეპტუალური გაგებით, საქმიან ორიენტაციას ნიშნავს, რომლითაც ეროვნული მიზნები მიიღწევა; პრაგმატიზმი ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის რაციონალურ გააზრებას გულისხმობს და პრაქტიკულ შედეგიანობაზეა გათვლილი; ამ მიდგომის უპირველესი ამოცანა არის მაქსიმალური სარგებლის მიღება. პოლიტიკური პრაგმატიზმის თავისებურება ის არის, რომ პოლიტიკა თავისი არსით, არის შესაძლებლობის ხელოვნება; აქედან გამომდინარე, პოლიტიკა თავისი ლატენტური პროცესებით გამოირჩევა, რომლის ამოცნობასაც განსაკუთრებული უნარების მქონე აქტორები თუ ახერხებენ. პოლიტიკური პრაგმატიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური მოქმედებების ერთობლიობა, მიმართული მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებაზე.

ქართველი ერის პოლიტიკური ისტორია და აზროვნება, უმრავლეს შემთხვევაში, პოლიტიკურ პრაგმატიზმსა და რაციონალიზმს ემყარებოდა და მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცესა და პოლიტიკურ ცვილებათა ეპოქებში სარგებლიანობის მაქსიმუმს აღწევდა. **ილია ჭავჭავაძე** აღნიშნავდა, რომ „...როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი... ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“ [1].

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში პრაგმატიზმი დემოკრატიის სტაბილურობისა და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა; მიზანია პოლიტიკური პროცესების მართვის ინტელექტუალიზაცია და პროფესიონალიზაცია; ყველაზე მთავარი რაც არის, პრაგმატიზმმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა და სტაბილური განვითარება. ვფიქრობთ, პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში პოლიტიკურმა პრაგმატიზმა უნდა დაამკვიდროს:

1. პოლიტიკური ცხოვრების ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგრადობასა და დემოკრატიის სტაბილურ განვითარებას;

2. პოლიტიკურ აქტორებს შორის პოლარიზაციის დაძლევასა და მათი მოღვაწეობითი სტილის გარდაქმნას, რომლითაც დაცული იქნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ამ ამოცანების გარკვეული პოლიტიკური აქტორების მიერ გადაჭრა, ჯერჯერობით, რთულად მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია პოლიტიკური ოპოზიციის ზოგიერთი ძალის დესტრუქციული პოზიციით; სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივი ინტერესები ვერ გახდა ყველა პოლიტიკური აქტორის სამოქმედო კრედო და პრაგმატული მოქმედების სტილი.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკურმა აქტორებმა სამ ძირითად პარადიგმაზე უნდა ააგოს თავისი მოღვაწეობა:

1. შემეცნებითი პარადიგმა, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის რეალისტურ შეფასებას გულისხმობს; მისი საშუალებით შეიქმნება ემპირიული მოქმედებების გარკვეული კონცეპტუალური თეორიული მოდელები და კონცეფციები;

2. ემპირიულ-სიტუაციური პარადიგმა, რომელიც პოლიტიკური პროცესების ღრმა კონკრეტულ ანალიტიკურ ანალიზს მოითხოვს, რომელიც პოლიტიკის ფუნქციონალური სარგებლიანობის პრინციპებზე იქნება გათვლილი;

3. პროგნოზირებადი პარადიგმა, რომელიც ლატენტური პროცესების გააზრების საფუძველზე ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს და ემყარება გარკვეულ სცენარებს, მოდელებსა და კონცეფციებს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიცია სრულებითაც არ გამორიცხავს პოლიტიკურ იდეალიზმს, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ ამოცანებს, პრიორიტეტებსა და ღირებულებით ორიენტაციებს. პრაგმატიზმი და იდეალიზმი პოლიტიკური მიზნის მიღწევის აუცილებელი ელემენტია, განსაკუთრებით ისეთი გლობალური ტრანზიციების პირობებში, რომლებიც ახლა მსოფლიოში მიმდინარეობს. ეს ორი ცნება პოლიტიკური მოღვაწეობის აქსიომას წარმოადგენს და განსაკუთრებულ პოლიტიკურ-ინტელექტუალურ და პროფესიულ მომზადებას მოითხოვს. ინტუიციური აზროვნება იდეალიზმისა და პრაგმატიზმის სინთეზია, რომელიც პოლიტიკური ტრანზიციების პირობებში რაციონალური შედეგების მიღწევის საფუძველია. სამწუხაროდ, პოლიტიკური პრაგმატიზმის აქტორებს ნამდვილად აკლიათ იდეალიზმის ელემენტები, რომელიც კონცეფციებისა და სცენარების სახით უნდა მუშავდებოდეს; ამიტომაც გვაქვს სახეზე გარკვეულ აქტორებში დესტრუქციულობის ელემენტების მომძლავრებასთან, რომლებსაც აკლიათ თეორიულ-ინტელექტუალური გააზრებების უნარი; მათი გათვლილი პოზიცია გულისხმობს ვიწროკლანურ ინტერესებს, რომელიც გლობალურ შედეგიანობას ნაკლებად ითვალისწინებს. სწორედ ეს ხდება მათი ურთიერთშეუთანხმებლობის მიზეზი, რომელიც მუდმივი დესტრუქციულობის სინდრომს წარმოშობს. ამიტომაც არის სოციუმი პესიმიზმში, რადგანაც მას ოპტიმისტური სტრატეგიული და ეროვნული პრაგმატული პოლიტიკა აკლია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში, როდესაც მიმდინარეობს ქართული სახელწიფოებრიობის თვითდამკვიდრების რთული პროცესები, ორი გამოკვეთილი ირაციონალური ტენდენცია იკვეთება:

1. პოლიტიკური აქტორების ნაწილი მოწყვეტილია რეალური პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს, ნაკლებად ერკვევა გლობალურ გამოწვევებსა და რისკებში, რომელიც გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციებითა და მსოფლიო წესრიგის ცვლილებებით არის გამოწვეული;

2. ინსტიტუციურ-კლანური ინტერესი და აზროვნება პოლიტიკური თანაცხოვრების განმსაზღვრელი სინდრომი ხდება, რომელმაც მთელი პოლიტიკური სივრცე მოიცვა და აფერხებს რაციონალური გარდაქმნების კურსს.

პოლიტიკური პრაგმატიზმის სრულიად საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს ავანტიურიზმი და ექსტრემიზმი, რომელიც პოლიტიკის ფუნქციონალურ კანონზომიერებებს არ ემორჩილება; მათი მამოძრავებელი ძალა არის საზოგადოების გაუცნობიერებელი და რადიკალური ელემენტები, რომლებიც დესტრუქციულობის ფორმებით ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში ასეთი მოვლენა იყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რომელიც ექსტრემისტულ ელემენტებს ემყარებოდა; მხედველობაში გვაქვს ე.წ. „კმარას“ იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად ედო ამ მოვლენას; ეს იყო ექსტრემისტული და დესტრუქციული ძალა, რომელმაც რეფორმების განხორციელების რადიკალური გზა აირჩია. „ნაციო-

ნალური მოძრაობის“ დომინანტური მმართველობის პერიოდში ავტორიტარული და ავტოკრატიული სტილი იქცა ძალაუფლების სინდრომად, რომელმაც ერთიანად დათრგუნა სოციუმის მონაწილეობითი კულტურა; პოლიტიკური თანაცხოვრების განმსაღვრელ ფაქტორებად იქცა ავანტიურისტული და გაუწონასწორებელი გადაწყვეტილებები, რომელიც რეალურ მემკვიდრეობით სიტუაციებს სრულიად მოწყეტილი აღმოჩნდა; მათი მოქმედების სტილი ნეობოლშევიკურ და ხუნვეიბინურ მეთოდებს ემსგავსებოდა, რომელმაც სრულ კრიზისულ სიტუაციამდე მიიყვანა მმართველობითი სისტემა. ნაციონალთა გატარებული რეფორმები ფასადურ და იმიტაციურ ხასიათს ატარებდა, რომელიც სოციუმში ნიჰილისტურ და საპროტესტო განწყობილებას ქმნიდა. განსაკუთრებული ზარალი, რომელიც ნაციონალთა რეჟიმმა მოუტანა ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ის არის, რომ შეფერხდა პოლიტიკური ტრანზიციის პროცესი; ისინი ეროვნულ თვითმყოფადობასა და მემკვიდრეობით ფაქტორებს არ ითვალისწინებდნენ და არ აფასებდნენ. ირაციონალური შედეგი ის იყო, რომ „მტრის ხატის“ ძიებით მოახდინეს საზოგადოების პოლარიზება და ურთიერთდაპირისპირება. შექმნეს თავიანთი მომხრეებისა და მხარდამჭერების წრე, რომელიც ახალ ინტელექტუალურ სივრცედ შეიძლება მივიჩნიოთ; მათი განმსაზღვრელი იდეოლოგიური სამოქმედო კრედოა ეროვნული იდენტობის უარყოფა, რომელიც დესტრუქციულობისა და პოლარიზების სინდრომს აღვივებს.

პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მივიღეთ, პოლიტიკური ექსტრემიზმის საუკეთესო მაგალითად უნდა მივიჩნიოთ, რომლის გამოკვეთილი ნიშნები იყო:

1. პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალის დაბალი დონე, რომელიც ავანტიურისტული იდეოლოგიის საფუძველი გახდა;

2. ეროვნული მემკვიდრეობითი ღირებულებებისა და თვითმყოფადობის შეუფასებლობა, რომელიც ეროვნული ცნობიერების დეგრადირებაზე იყო გათვლილი;

3. მთელ პოლიტიკურ სივრცეში ადამიანის ღირსების შემლახავი პროცესების განვითარება, რომელიც შიშისა და ნიჰილიზმის სინდრომით სულდგმულობდა;

4. საზოგადოების დათრგუნვა და მასობრივი ფსიქოზის გაძლიერება, რომელმაც საზოგადოების პოლარიზებას შეუწყო ხელი;

5. დემოკრატიული ტრანზიტის ფასადური და იმიტაციური ფორმების გაძლიერება, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესი გარკვეულად შეაფერხა.

თანამედროვე ქართული რეალობა ისეთია, რომ ავანტიურიზმისა და ექსტრემიზმის საშიშროება კვლავ რჩება. პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი, რომელიც სრულიად მოწყვეტილია პოლიტიკურ რეალობას, კვლავ ცდილობს დესტრუქციულობისა და რევოლუციის სინდრომის შემოტანით მიაღწიოს თავის პოლიტიკურ მიზანს. პოლიტიკურ ველზე კვლავ აქტიურობს ე.წ. „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი ჯგუფები, რომლებიც პროვოკაციებითა და დაპირისპირებით ცდილობენ ისევ ხელისუფლებაში მოსვლას; პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მათი ავტორიტეტი საკმაოდ დაცემულია საზოგადოებაში; ისინი მხოლოდ ძველი ნომენკლატურული ძალებით სარგებლობენ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ძალაუფლების რეანიმაციით. ეს ძალები უფრო აღვივებენ პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომელიც სრულებითაც არ ემსახურება დეპოლარიზაციის აღმოფხვრის საქმეს. თანამედროვე პირობებში ეს ყველაზე რთული პროცესი აღმოჩნდა, რადგანაც ოპოზიციის რადიკალიზმი იმდენად არის გაჯერებული დეტრუქციულობის ელემენტებით, რომ მათი დაჯერება კონსტრუქციულ მიდგომასა და თანამშრომლობაზე ძალიან ძნელი ხდება. მთავარი ის არის, რომ მათი ინტელექტუალური პოტენციალი და პოლიტიკური სახეები ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. ამიტომ ცდილობენ პოლიტიკური რეალობის უგულებელყოფით ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის შემოტანას პოლიტიკურ ტრანზიციაში, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის შეიძლება მეტად საშიში მოვლენა აღმოჩნდეს.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დგას პოლიტიკური ენისა და რიტორიკის საკითხი, რომელიც პრაგმატიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სამწუხაროდ, პროვოკაციებზე აგებული აგრესიული რიტორიკა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის სტილი გახდა. პოლიტიკა ლატენტურ პროცესებს მოიცავს, რომელიც სივრცისა და დროის მიხედვით რეგულირდება; ამიტომ, აუცილებელია თავშეკავებული რიტორიკა, რადგანაც რაციონალურობას სხვანაირად ვერ მივაღწევთ. პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი ამ პრინციპებს არღვევს და აგრესიული რიტორიკით ცდილობს პრობლემების გადაწყვეტას; ასეთი პოზიცია ძალიან აზიანებს ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფოებრივ თვითდამკვიდრებას. თავშეკავება და პროვოკაციების აცილება თანამედროვე პოლლიტიკური ტრანზიციის აუცილებელი ელემენტია.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური პრაგმატიზმის ერთ-ერთ დამკვიდრებულ ირაციონალურ ტენდენციასაც უნდა შევეხოთ, რომელიც პირად და კლანურ სარგებლიანობაზე აგებულ პოლიტიკას ეხება; პოლიტიკურ ტრანზიციაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები ერთმანეთთან თანაფარდობაშია, რომლითაც სარგებლობს ზოგიერთი პოლიტიკური ძალა; სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში პრაგმატიზმი კლანურ ეკონომიკურ კეთილდღეობაზეა აგებული. პოლიტიკური ძალაუფლება ან პირიქით - ეკონომიკური ძალაუფლება გამოყენებულია პირადი მატერიალური კეთილდღეობისა და ბიზნესის მოსაწყობად, რომელიც თავისთავად გამოკვეთილი ოლიგარქიული მმართველობითი სისტემის საფუძველია; ოლიგარქიულ - ავტორიტარული სისტემა ძალზე საშიშია პოლიტიკაში, რადგანაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები დათრგუნულია; ეს არ ეხება იმ ბიზნესმენებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში წარმატებული ბიზნესის საფუძველზე საქართველოში ქველმოქმედებას მიჰყვეს ხელი; ასეთი პროცესები მისასალმებელია, რადგანაც პრიორიტეტი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაა; სამწუხაროდ, გამოიყოფა გარკვეული კატეგორია პოლიტიკური სპექტრისა, რომლებიც პოლიტიკურ

ძალაუფლებას საკუთარი ოჯახის გამდიდრებისათვის იყენებენ. ამერიკელი პოლიტოლოგი **სტივენ ჯონსი** დიდი ხანია ამ პროცესებს აკვირდება და დემოკრატიული ტრანზიციისათვის ამ მოვლენას უკიდურესად ირაციონალურ ტენდეციად მიიჩნევს; იგი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკური ძალაუფლება თვითდამკვიდრების წყაროა საქართველოში, ეკონომიკური ძალაუფლება კი - პოლიტიკური პატრონაჟის წყარო. ეს ორი სფერო საფუძველშივე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთის ძალაუფლების დაკარგვას, მეორეშიც ანალოგიურ შედეგებამდე მივყავართ. ეს ხაზს უსვამს პირადი და საჯარო სფეროების გამიჯვნის არაარსებობას, რაც მთელ სისტემას მსჭვალავს და ურთიერთდამოკიდებულების ქსელს ქმნის; ეს კი, თავის მხრივ, სამოქალაქო ღირებულებებისა და დემოკრატიული მმართველობის არსს ანგრევს“[2].

თანამედროვე პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობა და სტაბილურობა. მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანზიცია ძალიან მწვავე გამოწვევებსა და რისკებს წარმოშობს. მსოფლიო წესრიგი დარღვეულია, საერთაშორისო სამართალი აღარ მუშაობს, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სრულყოფილად ვეღარ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას. მწვავედ დგას ლოკალური კონფლიქტების საკითხი, ვგულისხმობთ რუსეთ-უკრაინისა და ისრაელ-„ჰამასის“ ომს, რომელმაც შეიძლება ფართომასშტაბიანი ომის სახე მიიღოს. ასეთ სიტუაციაში, გლობალური კონფლიქტის საფრთხე ნამდვილად არსებობს, რომელიც ქართული პოლიტიკური ელიტისაგან მოითხოვს პრაგმატული პოლიტიკის გატარებას. ვფიქრობთ, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ სწორად აირჩია მშვიდობიანი განვითარების კურსი და ცდილობს არ წამოეგოს პროვოკაციებს; გამართლებულია სტრატეგიული მოთმინების კურსი, რადგანაც ქვეყანას განვითარებისათვის სტაბილურობა ესაჭიროება. გარკვეული ძალები უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ცდილობდნენ საქართველოში მეორე ფრონტი გახსნილიყო, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი პირდაპირ აფიქსირებდა მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობას, რომ ამით საქართველო დახმარებოდა უკრაინას და აღედგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა; ქართული ხელისუფლება მხოლოდ მშვიდობიანი გზით ცდილობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც თანამედროვე სიტუაციის გათვალისწინებით ნამდვილად გამართლებულია. ეს არის რაციონალური პოლიტიკა და აღარ უნდა განმეორდეს 2008 წლის აგვისტოს ომის მსგავსი მოვლენა, რომელმაც რუსეთის მიერ ქვეყანის ტერიტორის ოცი პროცენტის - აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაცია გამოიწვია. პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი კი ცდილობს ომითა და დესტაბილიზაციით ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს და ამით გარკვეულ სარგებელს მიაღწიოს.

თანამედროვე ქართული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი წარმატება იყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება, რაც ქართველი ხალხისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ; შემდეგი ეტაპი იქნება ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყება, რაც გარკვეული ხასიათის რეკომენდაციების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკური სპექტრის სრული შემადგენლობა უჭერდა მხარს კანდიდატის სტატუსის მიღებას; პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული ნაწილი კანდიდატის სტატუსის მიღების საწინააღმდეგო პოზიციას იზიარებდა, რადგანაც, მათი აზრით, ამით ამჟამინდელი ხელისუფლება ისარგებლებდა და არჩევნებში გაიმარჯვებას მიაღწევდა; მათი მიზანია, დესტაბილიზაცია გამოიწვიონ ქვეყანაში და არეულობისა და რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ. საზოგადოებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთიანობამ და პრაგმატულმა პოლიტიკამ ასეთი პროცესების განვითარება გასაქანი არ მისცა.

პრაგმატული პოლიტიკის შედეგი იყო ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ასევე ევროკავშირთან თავისუფალი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაწესება. თავისუფალი ვაჭრობა ვითარდება დსთ-ს ქვეყნებთან, დიდ ბრიტანეთთან, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და თურქეთთან. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2023 წლის ივლისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** ვიზიტი ჩინეთში, სადაც შეხვდა პრეზიდენტ **სი ძინპინს;** საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადადის, რაც გულისხმობს სტრატეგიულ თანამშრომლობის განვითარებას; სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება ახალ შესაძლებლობებს აძლევს მთლიანად რეგიონს, რომელიც უფრო მასშტაბურ ფუნქციებს შესძენს საქართველოს გეოპოლიტიკურ და „შუა დერეფნის“ მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, გაიზარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური როლი, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო და ლოგისტიკური ცენტრის. აქვე გვინდა, ერთ საკითხზეც შევჩერდეთ, ეს არის სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს როლის ზრდა აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოგვარებაში. თბილისი ნეიტრალური მხარეა და ორივე ქვეყანასთან აკავშირებს სტრატეგიული თანამშრომლობა; ამ გაგებით, რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც მსოფლიო წესრიგი ტრანზიციას განიცდის და მიმდინარეობს ახალი აქტორების გავლენების ზრდა.

პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში ინსტიტუციური და იდეოლოგიური ვაკუუმი ნამდვილად იგრძნობა; უპირველესად, ეს ეხება პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილს, რომელიც ნამდვილად იმყოფება კრიზისის ფაზაში და საზოგადოებას დესტრუქციულობის გარდა რაიმე რაციონალურს ვერ სთავაზობს. ასეთ სიტუაციაში, თავისი აქტორული პოზიციით გამოირჩევა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ისტორიულად ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ცვლილებების პროცესში. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში, როდესაც მიმდინარეობს ინსტიტუციური და ღირებულებით ტრანსფორმაციები, დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელი ეკლესიის

ეროვნულ პოზიციას, რომელიც ყოველთვის გამოდის ქართული გენეტიკური და მენტალური იდენტობის დაცვის მოთხოვნით. საქართველოს ეკლესიის პრაგმატიზმი იმაში გამოიხატება, რომ იგი თავის პოზიციას ყოველთვის თავისუფლებისა და ზნეობრიობის პრინციპების მკაცრად დაცვის მოთხოვნით გამოხატავს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** თავის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ყოველთვის პრინციპული პოზიციით გამოირჩევა იმ ირაციონალური ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგიერთი პოლიტიკური აქტორის მიერ გამოვლინდება; მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული ღირებულებების დაცვის, ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებაში; წინა პლანზე აქვს წამოწეული გეოპოლიტიკური ტრანზიციის პროცესში სამართლიანობისა და ერთიანობისათვის ზრუნვის პრობლემები; იგი აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ" [3]. უწმინდესის ეს მოწოდება და გაფრთხილება თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის ყველა აქტორისათვის სახელმძღვანელო დებულება უნდა იყოს, რომლის გარეშეც პოლიტიკური პრაგმატიზმის განხორციელება და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება.

დასკვნა

პოლიტიკური ტრანზიციის წარმატებით განხორციელების საფუძველს პრაგმატიზმი წარმოადგენს, რომელიც რეალური პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ანალიზს ემყარება. პრაგმატიზმი სარგებლიანობის პრინციპებზე აგებული მოქმედებების ერთობლიობაა. თანამედროვე გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა და მსოფლიო წესრიგის ცვლილებებმა ეროვნული პრაგმატიზმის განხორციელება უფრო რთული პროცესი გახადა; ამიტომ არის საჭირო პოლიტიკური აქტორების განსაკუთრებული პროფესიონალიზმი და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც დროსა და სივრცეში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის აქტორული სივრცე პოლიტიკური პრაგმატიზმის გაგებაში ნამდვილად ერთიანი არ არის; მძიმე მემკვიდრეობა ისევ სულდგმულობს, რომელიც ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის სახით წარმოგვიდგება. „ვარდების რევოლუციის" მემკვიდრეობითი ელემენტები ხელს უშლიან პრაგმატული პოლიტიკის გატარებას, რომელიც დესტრუქციულობისა და რევოლუციურობის სინდრომზეა აგებული; ეს ძალები თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალითა და მოძველებული სახეებით ნამდვილად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. ლეგიტიმური ძალაუფლების მატარებელი აქტორები მაქსიმალურად ცდილობენ ეროვნული პრაგმატიზმის დამკვიდრებას, რომელიც, რთული გეოპოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად, მაინც რაციონალურად მიმდინარეობს. პოლიტიკური ხელისუფლება ატარებს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკას, რომელიც მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებას ემსახურება. პრაგმატული პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის ქართული სახელმწიფოებრიობის გლობალურ ფუნქციებსა და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ცვლილება ახალ პრაგმატულ მიდგომებს მოითხოვს, რომელიც პოლიტიკური აქტორების რაციონალურ აზროვნებაზე იქნება დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩ. ნაწარმოებები ხუტ ტომად. ტ. IV. თბ., 1987, გვ. 175-176;

2. სტივენ ჯონსი. დემოკრატია საქართველოში, http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf.

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააშობაო ეპისტოლე. 2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/740569-sruliad-sakartvelos-katolikos-patriarkis-mcxeta-tbilisis-mtavarepiskoposisa-da-bichvintisa-da-cxum-apxazetis-mitropolit-ilia-ii-is-sashobao-epistole;

4. გ. აბესაძე. პოლიტიკური ცნობიერება და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რაციონალურობა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XVIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2018-2019, გვ. 382-393;

5. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა". N1, 2023, გვ. 71-79 /ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. www.b-k.ge https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/787;

6. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური ტრანზიცია და ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. „ფილოსოფიური ძიებანი" /კრებული ოცდამეშვიდე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი", თბ., 2023, გვ. 80-91;

7. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა". N2, 2023, გვ. 25-34 /ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. www.b-k.ge http://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/806;

8. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. ტ. XIX. 2020-2021 წელი, გვ.669-681. თბ. 2023 DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.43